2024

წლიური ანგარიში
ANNUAL REPORT

Fintech Association of Georgia
საქართველოს ფინტექ ასოციაცია

FIA

სარჩევი CONTENTS

ასოციაციის შესახებ / ABOUT THE ASSOCIATION 3

ჩვენი ხედვა / Our Vision 5
ჩვენი მიზნები / Our Goals 5
ჩვენი სერვისები / Our Services 6
თავმჯდომარის მიმართვა / Welcoming Address by the chairman of the FIA 9

ღონისძიებები / EVENTS 11

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში / International scientific conference at Caucasus International University 11
Dubai Fintech Summit 12
ბიზნეს სამიტი „მერიტო“ / Business Summit “Merito” 12
ბაქოს ფინტექ სამიტი / Baku Fintech Summit 13
FIA-ს ყოველწლიური გასვლითი ღონისძიება / FIA’s annual offsite event 14
Fintech & Banking 2024 Forum 15
BKN301 BaaS Orchestrator Roadshow 15
IFC Emerging VC Funds Workshop 17
Warsaw Finance Week 18
AML ტრენინგი / AML training 18

მნიშვნელოვანი სიახლეები / IMPORTANT NEWS 19

მსოლფიო ბანკის Business Ready 2024 ანგარიში / Contribution of the Chairman of the Fintech Association of Georgia to the preparation of the Business Ready 2024 report 19
პოლიტიკის დოკუმენტი: კომერციული ბანკებისა და ფინტექების თანამშრომლობა: გამოწვევები და შესაძლებლობები / Policy Document: Cooperation between Commercial Banks and Fintechs: Challenges and Opportunities 20
საქართველოს ფინტექ ასოციაციის თავმჯდომარე Fintech Investor Network and Ecosystem-ის ამბასადორი გახდა / The chairman of the Fintech Association of Georgia became the ambassador of the Fintech Investor Network and Ecosystem 21

კორპორატიული მმართველობისა და ფინანსების დამოუკიდებელი შეფასება / FIA Successfully Passes Independent Assessment of Corporate Governance and Finances 20
ფინტექის განვითარების ეროვნული სტრატეგია / The National Fintech Development Strategy 20

გუნდის წევრები / Team members 25
ახალი წევრები / New Members 29
ახალი პარტნიორები / New Partners 31
ბაზრის ახალი მოთამაშეები / Emerging Market Participants 35
სამომავლო გეგმები / Future plans 36
კონტაქტი / Contact 37

ასოციაციის შესახებ

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ფინტექ სექტორი აქტიურად ვითარდება როგორც საქართველოში, ასევე გლობალური მასშტაბით. დღეს ეს სფერო სხვადასხვა კომპანიებითაა წარმოდგენილი ქვეყნის ბაზარზე. სექტორის სწრაფმა და მასშტაბურმა განვითარებამ დღის წესრიგში დააყენა ასოციაციის დაარსების აუცილებლობა, რომელიც ხელს შეუწყობდა ამ სფეროს განვითარებასა და შუამავლის როლს შეასრულებდა ბაზრის მოთამაშეებსა და მარეგულირებლებს შორის. სწორეს ამის საფუძველზეც ჩამოყალიბდა საქართველოს ფინტექ ასოციაცია (FIA).

საქართველოს ფინტექ ასოციაცია დაარსდა 2019 წელს ტექ ინდუსტრიის ლიდერთა ჯგუფის მიერ. დაარსების დღიდან FIA არის განათლების, ინფორმაციისა და კავშირების გაზიარების პლატფორმა როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორს შორის. FIA ხელს უწყობს ტექნოლოგიაზე ორიენტირებული ფინანსური სერვისების განვითარებას და სექტორში რეგულაციების მოდერნიზაციას, ინკლუზიურობისა და ინოვაციურობის მხარდაჭერას. ასოციაციის წევრები არიან ინოვატორები, ბაზრის ახალი მოთამაშეები, რომლებიც კონკურენციას უწევენ ტრადიციულ ფინანსურ ინსტიტუტებს და ქმნიან მეტად მოქნილ და ხელმისაწვდომ პროდუქტებს.

დაფუძნებიდან დღემდე საქართველოს ფინტექ ასოციაციამ საკმაოდ გრძელი, საინტერესო და პროდუქტიული გზა განვლო. ასოციაციის ხელმძღვანელობითა და ჩართულობით განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი, მონაწილეობა მივიღეთ ფინტექ სექტორის საერთაშორისო თუ ადგილობრივ კონფერენციებში, ორგანიზაციაში გაერთიანდნენ ქართული ფინტექ ბაზრის უმსხვილესი წარმომადგენლები. ასევე FIA-მ არაერთი მნიშვნელოვანი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა ადგილობრივი, რეგიონის თუ საერთაშორისო ბაზრის კომპანიებსა და ორგანიზაციებთან. ამჟამად საქართველოს ფინტექ ასოციაცია აერთიანებს 31 წევრ ფინტექ და 26 პარტნიორ კომპანიას.

ABOUT THE ASSOCIATION

Over the past few years, the fintech sector has been actively developing both in Georgia and globally. Today, this field is represented by various companies in the country's market. The rapid and large-scale development of the sector has put on the agenda the need to establish an association that would promote the development of this field and play the role of an intermediary between market players and regulators. It is on this basis that the Fintech Association of Georgia (FIA) was formed.

The Fintech Association of Georgia was founded in 2019 by a group of tech industry leaders. Since its inception, FIA has been a platform for sharing education, information, and connections between both the private and public sectors. FIA promotes the development of technology-driven financial services and the modernization of regulations in the sector, supporting inclusiveness and innovation. Association members are innovators and new market players who compete with traditional financial institutions and create highly flexible and affordable products.

From its establishment to the present day, the Fintech Association of Georgia has gone through a long, interesting, and productive path. A number of important projects have been implemented under the leadership and involvement of the association, and we have participated in international and local conferences in the fintech sector. The largest representatives of the Georgian fintech market have been united in the organization. Also, FIA has signed a number of important memorandums of cooperation with local, regional, and international market companies and organizations. Currently, the Fintech Association of Georgia unites 31 fintech members and 26 partner companies.

ჩვენი ხედვა

ჩვენი ხედვაა გავაერთიანოთ ფინტექ კომპანიების ხმა, გავაძლიეროთ ფინტექ სექტორის როლი საქართველოს ფინანსურ სისტემაში. ასევე, ფინტექების ინტერესების ადვოკატირება და წარმომადგენლობა პოლიტიკურ დონეზე, განსაკუთრებით საქართველოს ინსტიტუტებისა და სხვა მარეგულირებელი ორგანოების მიმართ.

OUR VISION

Our vision is to unite the voice of fintech companies and strengthen the role of the fintech sector in the financial system of Georgia. Additionally, we aim to advocate for and represent fintech interests at the political level, especially towards Georgian institutions and other regulatory bodies.

ჩვენი მიზნები

- შევქმნათ ფინტექ სექტორის გაერთიანებული ხმა
- კოლაბორაციის ხარჯზე გავაძლიეროთ სექტორის პოზიციონირება საფინანსო სექტორში
- გავზარდოთ ფინტექ კომპანიების ინკლუზიურობა საქართველოს საფინანსო სექტორში
- ნეთვორქინგის და ფინტექ საზოგადოების ჩამოყალიბებით ხელი შევუწყოთ ფინტექ კომპანიებს შორის თანამშრომლობას
- ჩამოვაყალიბოთ მარეგულირებლთან ძლიერი საკომუნიკაციო პლატფორმა
- გავზარდოთ საქართველოს ფინტექ სექტორის ცნობადობა საერთაშორისო ბაზარზე

OUR GOALS

- Create a united voice for the fintech sector.
- Strengthen the sector’s positioning in the financial system through collaboration.
- Increase the inclusiveness of fintech companies in Georgia's financial sector.
- Promote cooperation between fintech companies by establishing networking opportunities and a fintech community.
- Establish a strong communication platform with regulators.
- Increase awareness of the Georgian fintech sector in the international market.

ჩვენი სერვისები

ჩვენი მიზანია, გავაძლიეროთ ფინტექ სექტორის როლი საქართველოს ფინანსურ სისტემაში. ამიტომ ვეხმარებით ფინტექ სტარტაპებს დაფუძნებასა და განვითარებაში, რისთვისაც მნიშვნელოვანია მარეგულირებელთან და კანონმდებლობასთან შესაბამისობაში ყოფნა. სწორედ ამიტომ, შევიმუშავეთ სტარტაპებზე ორიენტირებული ლიცენზირების სერვისები, რათა ხელი შევუწყოთ სტარტაპებს ბაზარზე შემოსვლასა და დამკვიდრებაში.

OUR SERVICES

Our goal is to strengthen the role of the fintech sector in the financial system of Georgia. That’s why we help fintech startups establish and grow, ensuring they comply with regulatory requirements and legislation. To support this, we have developed startup-focused licensing services to help startups enter and establish themselves in the market.

ჩვენი სერვისები მოიცავს:

ვირტუალური აქტივების სერვისის პროვაიდერის ლიცენზირების სერვისი

საქართველოს ფინტექ ასოციაცია კრიპტო სექტორით დაინტერესებულ კომპანიებს სთავაზობს საგადასახადო მომსახურების პროვაიდერის ლიცენზიის მოპოვების შესაძლებლობას, რომელსაც გასცემს საქართველოს ეროვნული ბანკი. სერვისი მოიცავს შესაბამისი ლიცენზიის მოპოვების პროექტის შემუშავებიდან და ლიცენზიის მოპოვებამდე სრული ციკლის მართვას, აუცილებელი დოკუმენტაციის მომზადებას, სავალდებულო პოლიტიკა / პროცედურების მომზადებას, პროექტის მენეჯმენტს და მარეგულირებელთან კომუნიკაციას.

ვირტუალური აქტივების სერვისის პროვაიდერის ლიცენზირების სერვისი

საქართველოს ფინტექ ასოციაცია კრიპტო სექტორით დაინტერესებულ კომპანიებს სთავაზობს საგადასახადო მომსახურების პროვაიდერის ლიცენზიის მოპოვების შესაძლებლობას, რომელსაც გასცემს საქართველოს ეროვნული ბანკი. სერვისი მოიცავს შესაბამისი ლიცენზიის მოპოვების პროექტის შემუშავებიდან და ლიცენზიის მოპოვებამდე სრული ციკლის მართვას, აუცილებელი დოკუმენტაციის მომზადებას, სავალდებულო პოლიტიკა / პროცედურების მომზადებას, პროექტის მენეჯმენტს და მარეგულირებელთან კომუნიკაციას.

ვირტუალური აქტივების სერვისის პროვაიდერის ლიცენზირების სერვისი

საქართველოს ფინტექ ასოციაცია კრიპტო სექტორით დაინტერესებულ კომპანიებს სთავაზობს საგადასახადო მომსახურების პროვაიდერის ლიცენზიის მოპოვების შესაძლებლობას, რომელსაც გასცემს საქართველოს ეროვნული ბანკი. სერვისი მოიცავს შესაბამისი ლიცენზიის მოპოვების პროექტის შემუშავებიდან და ლიცენზიის მოპოვებამდე სრული ციკლის მართვას, აუცილებელი დოკუმენტაციის მომზადებას, სავალდებულო პოლიტიკა / პროცედურების მომზადებას, პროექტის მენეჯმენტს და მარეგულირებელთან კომუნიკაციას.

OUR SERVICES INCLUDE:



VIRTUAL ASSET SERVICE PROVIDER LICENSING SERVICE

The Fintech Association of Georgia offers companies interested in the crypto sector the opportunity to obtain a tax service provider license issued by the National Bank of Georgia. This service includes managing the entire process, from developing the relevant license acquisition project to obtaining the license, preparing the necessary documentation, drafting mandatory policies and procedures, overseeing project management, and maintaining communication with the regulator.

PAYMENT SERVICE PROVIDER LICENSING SERVICE

The Fintech Association of Georgia offers companies interested in the crypto sector the opportunity to obtain a tax service provider license issued by the National Bank of Georgia. This service includes managing the entire process, from developing the relevant license acquisition project to obtaining the license, preparing the necessary documentation, drafting mandatory policies and procedures, overseeing project management, and maintaining communication with the regulator.

SERVICE FOR OBTAINING PERMISSION TO PARTICIPATE IN OPEN BANKING

The Fintech Association of Georgia offers companies interested in the crypto sector the opportunity to obtain a tax service provider license issued by the National Bank of Georgia. This service includes managing the entire process, from developing the relevant license acquisition project to obtaining the license, preparing the necessary documentation, drafting mandatory policies and procedures, overseeing project management, and maintaining communication with the regulator.

თავმჯდომარის მიმართვა

WELCOMING ADDRESS BY THE CHAIRMAN OF THE FIA

ძვირფასო ფინტექერებო,

მოგეხსენებათ, ფინტექ ინდუსტრია მთელს მსოფლიოში გახდა ახალი ფინანსური ინოვაციების ცენტრი. ინტერნეტის გავრცელებისა და მობილური ტექნოლოგიების განვითარებამ ფინტექ სექტორს მნიშვნელოვანი ბაზისი შეუქმნა ალტერნატიული ფინანსური სისტემის ჩამოყალიბების მიზნით. დღეის მონაცემებით მსოფლიო ფინტექ სექტორის კაპიტალიზაცია ტრილიონ დოლარს მიუახლოვდა და ეს ციფრი მუდმივად მზარდია. სახეზე გვაქვს სრულიად ახალი, ტექნოლოგიებზე დაფუძნებული, მეტად მოქნილი და მომხმარებელზე ორიენტირებული ინოვაციული ფინანსური სისტემა.

ზოგადად, საქართველოსთვის 2024 წელი საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა, პოლიტიკური არასტაბილურობის გათვალისწინებით. თუმცა მიუხედავად ამისა, ქვეყანა მაინც ინარჩუნებს, რეგიონის არაოფიციალური ფინანსური ჰაბის ფუნქციას. ჯერ კიდევ მზარდია საქართველოს მიმზიდველობა საერთაშორისო ფინტექ კომპანიების მხრიდან, რადგან წამყვანი აღნიშნული კომპანიების აქცენტი გადატანილია პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე, რომელიც წლიდან წლამდე მზარდია ახალი ტექნოლოგოების და სერვისების დანერგვის კუთხით, ხოლო საქართველო კი გაფართოების და ოპერაციების მართვის უალტერნატივო ცენტრად განიხილება.

2024 წელი საქართველოს ფინტექ ასოციაციისთვის საკმაოდ დატვირტული გამოდგა. წელს შემოგვემატა ხუთი ახალი წევრი და დღეის მდგომარეობით უკვე ვაერთიანებთ 33 ფინტექ კომპანიას, მონაწილეობა მივიღეთ 4 სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციაში, დავპარტნიორდით 10 ზე მეტ საერთაშორისო ორგანიზაციასთან, დავნერგეთ AML ტრენინგი და ა.შ. მომავალ წელსაც ჩვენი მთავარი მიზანი ასოციაციის გაფართოვება და ახალი წევრების გაერთიანება იქნება, რათა კიდევ უფრო გავაძლიეროთ ჩვენი ფინტექ ქომუნითი.

და ბოლოს, მინდა ყველა კოლეგას, პარტნიორს და ფინტექერს მადლობა გადავუხადო თანამშრომლობისთვის, იმედ ვიტოვებ, რომ 2025 წელი კიდევ უფრო ნაყოფიერი იქნება და ერთობლივად შევძლებთ ფინტექ სექტორის გაძლიერებას და ახალი შესაძლებობების აღმოჩენას.

დავით კიკვიძე
საქართველოს ფინტექ ასოციაციის
თავმჯდომარე

Dear Fintechers,

As you know, the fintech industry worldwide has become a hub of financial innovation. The spread of the Internet and the development of mobile technologies have created a crucial foundation for the fintech sector to establish an alternative financial system. According to current data, the capitalization of the global fintech sector has approached a trillion dollars, and this figure continues to grow. We are witnessing the emergence of a completely new, technology-driven, highly flexible, and customer-oriented financial system.

The year 2024 has been quite challenging for Georgia, considering the political instability. However, despite this, the country continues to maintain its role as the unofficial financial hub of the region. Georgia's attractiveness to international fintech companies remains strong, as the focus of leading firms has shifted towards post-Soviet countries, which are steadily advancing in the adoption of new technologies and services. Georgia is considered an alternative center for expansion and operations management.

The year 2024 has been a busy one for the Fintech Association of Georgia. This year, we welcomed five new members, bringing our total to 33 fintech companies. We participated in four international conferences, partnered with more than ten international organizations, introduced AML training, and more. Our main goal for the upcoming year is to expand the association and unite new members to further strengthen our fintech community.

Finally, I would like to extend my sincere gratitude to all colleagues, partners, and fintech companies for their cooperation. I hope that 2025 will be even more successful, and together we will strengthen the fintech sector and explore new opportunities.

DAVID KIKVIDZE
Chairman of Fintech Association of Georgia

ღონისძიებები EVENTS

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში

2024 წლის 9 თებერვალს, თბილისში, სასტუმრო „ბილტმორში“, „ინოვაციების და მეწარმეობის შესახებ“ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გაიხსნა. კონფერენციაში ჩაერთო სხვადასხვა ქვეყნისა და უნივერსიტეტის 140-მდე წარმომადგენელი. ამასთან, კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სახელმწიფო და კერძო ბიზნესსტრუქტურებმა. საუბარი შეეხო მეწარმეობის განვითარებასა და ციფრულ ტექნოლოგიებს. კონფერენციაზე ერთ-ერთი გამოსვლა დაეთმო საქართველოს ფინტექ ეკოსისტემას, რომელზეც საქართველოს ფინტექ ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით კიკვიძემ ისაუბრა.

INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE AT CAUCASUS INTERNATIONAL UNIVERSITY

On February 9, 2024, an international scientific conference organized by Caucasus International University, titled "On Innovations and Entrepreneurship," was held at the Biltmore Hotel in Tbilisi. About 140 representatives from various countries and universities participated in the conference. Additionally, state and private business structures from Georgia were involved in the conference's activities. The discussions focused on the development of entrepreneurship and digital technologies. One of the presentations at the conference was dedicated to the fintech ecosystem of Georgia, which was delivered by the chairman of the Georgian Fintech Association, Davit Kikvidze.

DUBAI FINTECH SUMMIT

საქართველოს ფინტექ ასოციაციისა და Trescon-ის თანამშრომლობის ფარგლებში საქართველოს ფინტექ ასოციაცია დაესწრო Dubai Fintech Summit-ს. სამიტი გაიმართა 2024 წლის 6-7 მაისს დუბაიში. სამიტს ესწრებოდა 200-ზე მეტი სპიკერი, 8000-ზე მეტი ლიდერი კომპანიის წარმომადგენელი და წამყვანი მედია საშუალებების წარმომადგენლები მსოფლიოს ყველა წერტილიდან. ამასთან, სამიტზე წარმოდგენილი იყო 20-ზე მეტი მარეგულირებელი ორგანო, 10-ზე მეტი ბანკი, 40-ზე მეტი ფინტექ და 20-ზე მეტი ბლოკჩეინ ორგანიზაცია, სხვადასხვა წამყვან ინვესტორთან ერთად.

As part of the cooperation between the Georgian Fintech Association and Trescon, the Georgian Fintech Association attended the Dubai Fintech Summit, held on May 6-7, 2024, in Dubai. The summit was attended by more than 200 speakers, over 8,000 representatives from leading companies, and prominent media figures from around the world. Additionally, the summit featured more than 20 regulatory bodies, over 10 banks, more than 40 fintech organizations, and more than 20 blockchain organizations, alongside various leading investors.



ბიზნეს სამიტი „მერიტო“

FIA-ს თავმჯდომარე დავით კიკვიძე ბიზნეს სამიტ “მერიტო”-ს დაესწრო. “მერიტო” საქართველოში პირველად ჩატარდა და მისი მიზანია ხელი შეუწყოს ბიზნესში მოქმედი პროფესიონალების დაფასებას და აღიარებას, მათ მიერ 2023 წლის განმავლობაში ინიცირებული პროექტებისათვის. „მერიტოს" დაჯილდოების საზეიმო ცერემონია ბიზნეს სამიტის მნიშვნელოვანი კომპონენტია.

BUSINESS SUMMIT „MERITO“

FIA Chairman Davit Kikvidze attended the "Merito" Business Summit. "Merito" was held in Georgia for the first time, with the aim of promoting appreciation and recognition of business professionals for the projects they initiated during 2023. The "Merito" award ceremony is a key component of the business summit.

ბაქოს ფინტექ სამიტი

საქართველოს ფინტექ ასოციაციის მონაწილეობით 2024 წლის 15-16 მაისს ბაქოს ფინტექ სამიტი გაიმართა. ღონისძიებაზე განხილულ იქნა ისეთი საკითხები, როგორებიცაა: ფინტექ ეკოსისტემის განვითარების პოტენციალი, მიმდინარე რეგულაციები, საინვესტიციო შესაძლებლობები და სხვა. ფორუმის ერთ-ერთი სპიკერი იყო საქართველოს ფინტექ ასოციაციის თავმჯდომარე დავით კიკვიძე, სადაც მან მეზობელი ქვეყნის ფინტექერებს გაუზიარა საქართველოს ფინტექ სექტორის განვითარების გამოცდილება და მიმდინარე პროცესები. ამას გარდა, დავითმა ისაუბრა საქართველოს ფინტექ ეკოსიტემაზე, ბაზრის უპირატესობებსა და შესაძლებლობებზე. ღონისძიების მთავარ მიზანს წარმოადგენდა საერთაშორისო ფინტექ კომპანიებს შორის საქმიანი კავშირების გაძლიერება და თანამშრომლობის პოტენციური შესაძლებლობების შეფასება. სამიტი რეგიონის საბანკო-ფინანსური ყოველწლიური ღონისძიებაა და აერთიანებს სამთავრობო ორგანოების, კომერციული ბანკების, ფინტექ კომპანიების წარმომადგენლებს. ღონისძიება ემსახურება ინოვაციური იდეების, გამოცდილებისა თუ სამომავლო გეგმების გაზიარებას. ფინტექ ბაზრებს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში აღნიშნული ღონისძიება კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია კავშირების გასაძლიერებლად და სამომავლო ურთიერთობების დასამყარებლად.

BAKU FINTECH SUMMIT

The Fintech Summit of Baku was held on May 15-16, 2024, with the participation of the Fintech Association of Georgia (FIA). The event addressed key topics such as the development potential of the fintech ecosystem, current regulations, investment opportunities, and more. One of the speakers at the forum was Davit Kikvidze, Chairman of the Fintech Association of Georgia, who shared insights on the experience and ongoing developments in Georgia’s fintech sector with industry professionals from the neighboring country. Additionally, Davit highlighted the advantages and opportunities of the Georgian fintech ecosystem and market.

The primary goal of the event was to strengthen business ties between international fintech companies and assess potential opportunities for cooperation. The summit, recognized as the region’s annual banking-financial event, brings together representatives from government bodies, commercial banks, and fintech companies. It serves as a platform to exchange innovative ideas, experiences, and future plans. This event marks another significant step in the strategic partnership between fintech markets, aimed at strengthening ties and fostering future relationships.

FIA-ს ყოველწლიური გასვლითი ღონისძიება

2024 წლის 29-30 ივნისს, ქალაქ თელავში, საქართველოს ფინტექ ასოციაციის წევრთა ყოველწლიური გასვლითი ღონისძიება გაიმართა. ღონისძიებას დაესწრო FIA-ს 30-მდე წევრი ფინტექ კომპანია და ასოციაციის პარტნიორი ორგანიზაციები, მათ შორის, საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს საბანკო ასოციაცია, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და USAID - ის ფინანსური ინოვაციების პროგრამა. ღონისძიებაზე განსახილველი თემები მოიცავდა ფინტექის გამოწვევებსა და შესაძლებლობებს. ამასთანავე, დისკუსია გაიმართა ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა სექტორში მიმდინარე მნიშვნელოვანი პროცესები, როგორც სარეგულაციო, ისე დონორი ორგანიზაციების ბიზნესის ხელშემწყობი პროგრამების შესახებ.

FIA'S ANNUAL OFFSITE EVENT

On June 29-30, 2024, the annual offsite event of the members of the Fintech Association of Georgia was held in the city of Telavi. The event was attended by approximately 30 FIA member fintech companies and the association's partner organizations, including the National Bank of Georgia, the Banking Association of Georgia, the Ministry of Economy and Sustainable Development, and the USAID Financial Innovation Program. Topics discussed at the event included fintech challenges and opportunities. Additionally, discussions were held on important processes taking place in the sector, including both regulatory aspects and business promotion programs of donor organizations.

On October 2-3, 2024, the Fintech & Banking 2024 Forum was organized in Tashkent, Uzbekistan, by Axioma School and the Fintech Association of Uzbekistan—both partners of the Fintech Association of Georgia. FIA served as a partner of the event, and its Chairman, Davit Kikvidze, attended the forum. The purpose of the event was to facilitate experience-sharing among different countries and support the development of the fintech ecosystem. The forum played a significant role in taking important steps towards establishing closer ties within the fintech community across Central Asia and the Caucasus.

FINTECH & BANKING 2024 FORUM

2024 წლის 2-3 ოქტომბერს, უზბეკეთში, ქალაქ ტაშკენტში საქართველოს ფინტექ ასოციაციის პარტნიორების, Axioma School-ისა და Fintech Association of Uzbekistan-ის ორგანიზებით Fintech & Banking 2024 Forum ჩატარდა. საქართველოს ფინტექ ასოციაცია ღონისძიების პარტნიორი იყო და მას FIA-ს თავმჯდომარე დავით კიკვიძე ესწრებოდა. ღონისძიების მიზანი სხვადასხვა ქვეყანას შორის არსებული გამოცდილების გაზიარება და ფინტექ ეკოსისტემის განვითარება იყო. ფორუმმა ხელი შეუწყო მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმას მჭიდრო კავშირის დასამყარებლად ფინტექ საზოგადოებაში ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში.

BKN301 BAAS ORCHESTRATOR ROADSHOW

2024 წლის 9 ოქტომბერს BKN301 ჯგუფმა, გლობალურმა ლიდერმა Banking-as-a-Service (BaaS) გადაწყვეტილებებში, ოფიციალურად წარადგინა თავისი BaaS ორკესტრატორი ქართულ ბაზარზე, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ფინანსური ტექნოლოგიების განვითარების შესაძლებლობებს კავკასიაში. ეს ტექნოლოგიური პლატფორმა თბილისში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე იყო წარმოდგენილი, რომელიც მიზნად ისახავდა ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების — ბანკების, მცირე და საშუალო ბიზნესების (SMEs) და სხვა ფინტექ წარმომადგენლების ინფორმირებას საქართველოს ციფრული გადახდების სექტორში არსებული პოტენციალის შესახებ. სტივენ მუჩოლიმ, BKN301-ის დამფუძნებელმა და გენერალურმა დირექტორმა, ხაზგასმით აღნიშნა საქართველოს როლი კომპანიის ზრდის სტრატეგიაში. კონფერენციაზე გაიმართა დისკუსია BaaS-სა და Payments-as-a-Service-ის შესაძლებლობებზე, რაც ბიზნეს სექტორს შესაძლებლობას აძლევს გაუმჯობესდეს მომსახურება და გაზარდოს ცნობიერება. ღონისძიებას პარტნიორობას უწევდნენ ბრიტანეთის საელჩო საქართველოში, საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს საბანკო ასოციაცია და საქართველოს ფინტექ ასოციაცია.

2On October 9, 2024, BKN301 Group, a global leader in Banking-as-a-Service (BaaS) solutions, officially introduced its BaaS orchestrator to the Georgian market, aiming to significantly enhance financial technology development opportunities in the Caucasus region. This technology platform was unveiled at an international conference held in Tbilisi, designed to inform local stakeholders—including banks, small and medium enterprises (SMEs), and fintech representatives—about the potential of Georgia's digital payments sector.

Steven Mucholi, founder and CEO of BKN301, highlighted Georgia's strategic importance in the company's growth plans. The conference featured discussions on the opportunities offered by BaaS and Payments-as-a-Service, enabling businesses to enhance their services and expand market awareness.
The event was organized in partnership with the British Embassy in Georgia, the National Bank of Georgia, the Georgian Banking Association, and the Fintech Association of Georgia.

IFC EMERGING VC FUNDS WORKSHOP

2024 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს ფინტექ ასოციაციამ მონაწილეობა მიიღო IFC - International Finance Corporation-ის მიერ ორგანიზებულ Emerging Venture Capital-ის ფონდების სამუშაო შეხვედრაში, რომელიც შვეიცარიის ეკონომიკურ საკითხებში სახელმწიფო სამდივნოს (SECO) მხარდაჭერით ჩატარდა და წარმოადგენს რეგიონული ციფრული ფინანსური სერვისების პროექტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს.
სემინარზე განხილული იყო ისეთი თემები, როგორიცაა განვითარებადი კაპიტალი და ფინტექ სტარტაპ ეკოსისტემა, VC დაფინანსების მოპოვების და Venture ინვესტირების საფუძვლები, ინვესტიციის შემდგომი მენეჯმენტი, სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩო: ეფექტური ფონდების სტრუქტურირება.
საქართველოს ფინტექ ასოციაციის თავმჯდომარე, დავით კიკვიძე ექსპერტთა პანელს შეუერთდა თემაზე „ფინტექ ეკოსისტემების განვითარების მხარდამჭერები“. პანელის წევრებს შორის იყვნენ ასევე მარიამ რუსიშვილი და დავით ბოჭორიშვილი.

On October 17, 2024, the Fintech Association of Georgia participated in the Emerging Venture Capital Funds workshop organized by the International Finance Corporation (IFC), with the support of the Swiss State Secretariat for Economic Affairs (SECO). This workshop is a key component of the regional digital financial services project.
The seminar covered a range of topics, including emerging capital and the fintech startup ecosystem, fundamentals of venture capital (VC) funding and investing, post-investment management, and the legal and regulatory framework for structuring effective funds.
Davit Kikvidze, Chairman of the Fintech Association of Georgia, joined the panel of experts discussing "Supporters of Fintech Ecosystem Development," alongside panelists Mariam Rusishvili and Davit Bochorishvili.

WARSAW FINANCE WEEK

საქართველოს ფინტექ ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით კიკვიძემ, მონაწილეობა მიიღო Future Finance Summit-ის ფარგლებში გამართულ Warsaw Finance Week-ის ღონისძიებაზე. ფინტექ კვირეულს ესწრებოდა 1,000-ზე მეტი მონაწილე, მათ შორის გლობალური ლიდერები და ინოვატორები, რომლებმაც განიხილეს ფინანსური ტექნოლოგიების მომავალი, გამოწვევები და სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობები. დავით კიკვიძემ პრეზენტაცია წარადგინა საქართველოს ფინტექ ეკოსისტემის შესახებ, რითაც კიდევ ერთხელ ერთხელ გაუსვა ხაზი საქართველოს მზარდ როლს გლობალურ ფინტექ სფეროში.

Davit Kikvidze, Chairman of the Fintech Association of Georgia, participated in the Warsaw Finance Week event, held as part of the Future Finance Summit. The event brought together over 1,000 participants, including global leaders and innovators, who discussed the future of financial technology, challenges, and opportunities for collaboration.
During the summit, Davit Kikvidze delivered a presentation on Georgia's fintech ecosystem, highlighting the country's growing role in the global fintech landscape.

AML TRAINING

2024 წლის 22 ოქტომბრიდან 19 დეკემბრის ჩათვლით საქართველოს ფინტექ ასოციაციამ AML ტრენინგი ჩაატარა. კურსის ფარგლებში სტუდენტებმა შეისწავლეს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის სამართლებრივი საფუძვლები, იდენტიფიკაციის პროცედურები და თანამედროვე ტექნოლოგიები. ლექციებს დარგის წამყვანი სპეციალისტები უძღვებოდნენ თიბისი ბანკიდან, ფინანსური მონიტორინგის სამსახურიდან და TechLaw Georgia-დან.

From October 22 to December 19, 2024, the Fintech Association of Georgia conducted an AML (Anti-Money Laundering) training program. As part of the course, participants studied the legal foundations of money laundering and terrorism financing prevention, identification procedures, and modern technologies in the field.

The lectures were delivered by leading experts from TBC Bank, the Financial Monitoring Service, and TechLaw Georgia.

მნიშვნელოვანი სიახლეები

IMPORTANT NEWS

მსოლფიო ბანკის BUSINESS READY 2024 ანგარიში

საქართველოს ფინტექ ასოციაციის თავმჯდომარე დავით კიკვიძე 2023 წლის მსოფლიო ბანკის ყოველწლიურ კვლევაში მოწვეული ექსპერტის სტატუსით მონაწილეობდა. კვლევა ეხებოდა პოლიტიკის რეფორმის ადვოკატირებას და მასში 55 ქვეყნის წამყვანმა სპეციალისტმა მიიღო მონაწილეობა.

CONTRIBUTION OF THE CHAIRMAN OF THE FINTECH ASSOCIATION OF GEORGIA TO THE PREPARATION OF THE BUSINESS READY 2024 REPORT

Davit Kikvidze, Chairman of the Fintech Association of Georgia, participated as an invited expert in the 2023 World Bank Annual Survey. The study focused on advocacy for policy reform and included leading experts from 55 countries.

პოლიტიკის დოკუმენტი: კომერციული ბანკებისა და ფინტექების თანამშრომლობა: გამოწვევები და შესაძლებლობები

საქართველოს ფინტექ ასოციაციის, The USAID Economic Security Program-ისა და ISET Policy Institute-ის ერთობლივი თანამშრომლობით შეიქმნა პოლიტიკის დოკუმენტი „კომერციული ბანკებისა და ფინტექების თანამშრომლობა: გამოწვევები და შესაძლებლობები“. დოკუმენტი მიმოიხილავს ფინტექ-კომპანიებისა და კომერციული ბანკების თანამშრომლობის არსებულ მდგომარეობას, მთავარ გამოწვევებსა და შესაძლო განვითარებების გზებს. ძირითადი დაბრკოლებები მოიცავს ბანკებზე მაღალ დამოკიდებულებას, შეზღუდულ წვდომას საბანკო მომსახურებებზე და კანონმდებლობის ხარვეზებს, რაც აფერხებს სექტორის სრულყოფილ განვითარებას.

პოლიტიკის დოკუმენტი ასევე განიხილავს საერთაშორისო გამოცდილებას და მოიცავს რეკომენდაციებს, როგორიცაა რეგულაციების დახვეწა და ფინტექებისათვის საბანკო სერვისებზე თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა. ეს ნაბიჯები ხელს შეუწყობს ინოვაციური ფინანსური ეკოსისტემის შექმნას, მომხმარებელთა გამოცდილების გაუმჯობესებას და სექტორში კონკურენტული გარემოს განვითარებას.

POLICY DOCUMENT: COOPERATION BETWEEN COMMERCIAL BANKS AND FINTECHS: CHALLENGES AND OPPORTUNITIES

The policy document "Cooperation of Commercial Banks and Fintechs: Challenges and Opportunities" was created through the joint efforts of the Georgian Fintech Association, the USAID Economic Security Program, and the ISET Policy Institute. The document examines the current state of cooperation between fintech companies and commercial banks, identifies the main challenges, and suggests potential development paths.
The primary obstacles include high dependence on banks, limited access to banking services, and gaps in legislation, all of which hinder the full development of the sector.
The document also highlights international best practices and offers recommendations such as improving regulations and ensuring equal access to banking services for fintechs. These measures aim to foster the creation of an innovative financial ecosystem, improve customer experience, and develop a more competitive environment in the sector.

საქართველოს ფინტექ ასოციაციის თავმჯდომარე FINTECH INVESTOR NETWORK AND ECOSYSTEM-ის ამბასადორი გახდა

საქართველოს ფინტექ ასოციაციის თავმჯდომარე დავით კიკვიძე Fintech Investor Network and Ecosystem-ის ამბასადორი გახდა. FINE-ს ამოცანაა უზრუნველ¬ყოს ინვესტორების თანამშრომლობა და ერთობ¬ლივი ინვესტიციები ფინტექ სტარტაპებში, მათ შორის ჩვენს ქვეყანაში.

ამასთანავე, FINE-ს მიზანია, აამაღლოს ცნობადობა ფინტექ მიმართულებით და აღმოფხვრას კადრების დეფიციტი სექტორში.

THE CHAIRMAN OF THE FINTECH ASSOCIATION OF GEORGIA BECAME THE AMBASSADOR OF THE FINTECH INVESTOR NETWORK AND ECOSYSTEM

Davit Kikvidze, Chairman of the Fintech Association of Georgia, became the Ambassador of the Fintech Investor Network and Ecosystem (FINE). FINE's mission is to facilitate cooperation among investors and foster joint investments in fintech startups, including in Georgia.

Additionally, FINE aims to raise awareness about fintech and address staffing shortages within the sector.

კორპორატიული მმართველობისა და ფინანსების დამოუკიდებელი შეფასება

საქართველოს ფინტექ ასოციაციამ წარმატებით გაიარა კორპორატიული მმართველობისა და ფინანსების დამოუკიდებელი შეფასება. შეფასება ჩატარდა USAID Economic Governance Program-ის ODP პროგრამის ფარგლებში BDO Georgia-ს მიერ. USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა ტექნიკურ დახმარებას უწევს ორგანიზაციებს გაზარდონ ორგანიზაციული შესაძლებლობები და გააძლიერონ კორპორატიული მმართველობა. პროგრამის გავლის შემდგომ მნიშვნელოვნად გაიზარდა შეფასების პროცენტული მაჩვენებელი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოს ფინტექ ასოციაციის განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას.

FIA SUCCESSFULLY PASSES INDEPENDENT ASSESSMENT OF CORPORATE GOVERNANCE AND FINANCES

The Fintech Association of Georgia (FIA) has successfully passed an independent assessment of its corporate governance and finances. The assessment was conducted under the ODP program of the USAID Economic Governance Program by BDO Georgia.
USAID's Economic Governance Program provides technical assistance to organizations to enhance their capacity and strengthen corporate governance. After completing the program, the evaluation percentage increased significantly, further confirming the development-oriented activities of the Georgian Fintech Association.

ფინტექის განვითარების ეროვნული სტრატეგია

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2024 წლის 4 ნოემბერს ფინტექის განვითარების ეროვნული სტრატეგიის პირველადი დოკუმენტი გამოაქვეყნა. დოკუმენტის პირველადი ვერსია, მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობით შემუშავდა და მიზნად საჯარო და კერძო დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებას ისახავს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო დონეზე. ქვეყნის შიგნით ფინტექის განვითარების სტრატეგია ხელს შეუწყობს ახალი მოთამაშეებისთვის ბაზარზე შესვლის ბარიერების შემსუბუქებასა და თანამედროვე ფინანსური ინფრასტრუქტურის განვითარებას ისეთი პროექტებით, როგორებიცაა ღია ბანკინგი/ფინანსები, რეგულირების ლაბორატორია (Regulatory Sandbox), „ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტა (CBDC), როგორც ეკოსისტემა“, მყისიერი გადახდების სისტემის დანერგვა და სხვა. საერთაშორისო დონეზე კი ფინტექ-სტრატეგიის მიზანს „შუა დერეფნის“ ქვეყნებისთვის საქართველოს რეგიონულ ფინტექ-ჰაბად პოზიციონირება წარმოადგენს. ამისათვის ეროვნული ბანკი აქტიურად თანამშრომლობს რეგიონის ქვეყნებთან და მაქსიმალურად ცდილობს მათ ხელშეწყობას. ამასთან, მუშავდება რეგულირების საერთაშორისო ლაბორატორიის კონცეფცია, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნებს შორის რეგულაციურ ჰარმონიზაციას, თანამედროვე ფინანსური ინფრასტრუქტურის განვითარებასა და უცხოური ფინტექ-კომპანიებისა და ტალანტის მოზიდვას საქართველოში. საქართველოს ფინტექ ასოციაციამ წევრ კომპანიებთან სტრატეგიასთან დაკავშირებული დასკვნები და რეკომენდაციები მოამზადა, რომელიც საქართველოს ეროვნულ ბანკს გაუზიარა.

THE NATIONAL FINTECH DEVELOPMENT STRATEGY

On November 4, 2024, the National Bank of Georgia published the primary document for the National FinTech Development Strategy. The initial version of the document was developed in cooperation with the World Bank and aims to strengthen cooperation between public and private stakeholders both domestically and internationally.

The fintech development strategy within Georgia will help ease market entry barriers for new players and develop modern financial infrastructure through projects such as Open Banking/Finance, Regulatory Sandbox, Central Bank Digital Currency (CBDC) as an Ecosystem, and Instant Payments System implementation, among others.

At the international level, the strategy's goal is to position Georgia as a regional fintech hub for the "Middle Corridor" countries. To achieve this, the National Bank is actively cooperating with the countries of the region and working to promote them as much as possible. Additionally, the concept of an international regulatory laboratory is being developed to facilitate regulatory harmonization between countries, the development of modern financial infrastructure, and the attraction of foreign fintech companies and talent to Georgia.

The Fintech Association of Georgia prepared conclusions and recommendations related to the strategy with input from its member companies, which were shared with the National Bank of Georgia.

გუნდის წევრები TEAM MEMBERS

ლიზი ნოზაძე
LIZI NOZADZE

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი

თავისუფალი უნივერსიტეტის მართვისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების ფაკულტეტის კურსდამთავრებული, ამჟამად საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში მაგისტრატურის სტუდენტი მულტიმედიური ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის მიმართულებით. ლიზი გამომცემლობა პალიტრა ლ-ში საერთაშორისო პროექტებისა და მარკეტინგის მენეჯერის პოზიციას იკავებს. ამჟამად საქართველოს ფინტექ ასოციაციისში პიარისა და მარკეტინგის მენეჯერია.

PR AND MARKETING MANAGER

A graduate of the Faculty of Governance and Social Sciences of the Free University, Lizi is currently a master's student at the Georgian Institute of Public Affairs, specializing in multi-media journalism and media management. Lizi holds the position of international projects and marketing manager at Palitra L publishing house and is currently the PR and marketing manager at the Fintech Association of Georgia.



მარიამ ქარსელაძე
MARIAM KARSELADZE

პროექტის მენეჯერი

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტისა და University of A Coruña-ს (ესპანეთი) სტუდენტი, ბიზნესის ადმინისტრირება, ფინანსების მიმართულების პროგრამის სტუდენტი. მარიამი ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების კოორდინატორის პოზიციაზე მუშაობდა, სადაც პასუხისმგებელი იყო დასაქმების პროცესების მართვაზე, თანამშრომლების განვითარებასა და ორგანიზაციული კულტურის გაუმჯობესებაზე. იგი ასევე იყო „ფინტექ ბანაკი 2023“-ის პროექტის კოორდინატორი, სადაც წარმატებით უზრუნველყოფდა ღონისძიებების დაგეგმვასა და მონაწილეთა კოორდინაციას. ამჟამად მარიამი საქართველოს ფინტექ ასოციაციაში პროექტების მენეჯერის პოზიციას იკავებს.

PROJECT MANAGER

Student of Business and Technology University and University of A Coruña (Spain), Business Administration, Finance major program student. Mariam worked as a human resources coordinator at Business and Technology Universitu, where she was responsible for managing recruitment processes, employee development, and improving organizational culture. She was also the project coordinator of Fintech Camp 2023, where she successfully ensured event planning and participant coordination. Currently, Mariam holds the position of project manager in the Fintech Association of Georgia.

ნინო სიხუაშვილი
NINO SIKHUASHVILI

ფინანსური მენეჯერი

ნინომ ბაკალავრის ხარისხი თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე მიიღო, შემდეგ კი თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხი - ფინანსებში. 2011 წლიდან მუშაობს ფინანსებისა და აღრიცხვის სფეროში, სხვადასხვა სექტორში, მათ შორის საცალო ვაჭრობა, მომსახურება, წარმოება და სხვა. ნინო ამჟამად საქართველოს ფინტექ ასოციაციის ფინანსური მენეჯერია, სადაც პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის ზედამხედველობაზე, ფინანსური ანგარიშგების მართვასა და ასოციაციის ფინანსური შედეგების ანალიზზე.

FINANCIAL MANAGER

Nino received a bachelor's degree from the Faculty of Business Administration at Tbilisi State University of Economic Relations, followed by a master's degree in finance from Tbilisi Free University. Since 2011, Nino has been working in the field of finance and accounting across various sectors, including retail, services, manufacturing, and others. Nino is currently the financial manager of the Georgian Fintech Association, where he is responsible for overseeing accounting, managing financial statements, and analyzing the association's financial results.

ახალი წევრები
NEW MEMBERS

დღეს საქართველოში 50-მდე ფინტექ კომპანია ოპერირებს, მიუხედავად მცირე რაოდენობისა, ქართული ფინტექ ეკოსისტემა მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ბაზარზე წარმოდგენილნი არიან ფინტექის თითქმის ყველა მიმართულების კომპანია, რაც ვფიქრობთ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია დარგის განვითარების თვალსაზრისით.

ქართული ფინტექ ბაზრის უმსხვილესი წარმომადგენლები საქართველოს ფინტექ ასოციაციის წევრები არიან და დღეს ასოციაცია 31 ფინტექ კომპანიას აერთიანებს. 2024 წლის განმავლობაში ასოციაციაში გაწევრიანდა 6 ფინტექ კომპანია. მათ შორის:

Today, there are about 50 fintech companies operating in Georgia. Despite the small number, the Georgian fintech ecosystem is distinguished by its diversity. Almost all fintech companies are represented in the market, which we believe is very important for the development of the field.

The largest representatives of the Georgian fintech market are members of the Georgian Fintech Association, which currently unites 31 fintech companies. During 2024, 6 fintech companies joined the association, including:

BitXchange (https://bxc.ge/) ორგანიზაცია ინთერნეიშენალ ფინლოუ საფორთ დაარსდა 2022 წელს და წარმოადგენს ვირტუალური აქტივების პლატფორმას, რომელიც მომხმარებელს სხვადასხვა ვირტუალური აქტივებით ვაჭრობის შესაძლებლობას აძლევს.

BitXchange, founded in 2017, is the first Georgian company to produce crypto machines. The organization has developed an online crypto converter, BLOCKCHAIN.GE, which allows customers to perform any crypto transaction from the comfort of their homes. BLOCKCHAIN.GE supports twelve cryptocurrencies.

Coinet (https://www.coinet.ge/) Coinet კრიპტოვალუტით ვაჭრობისა და ოპერაციების ინოვაციურ პლატფორმას წარმოადგენს. ის მომხმარებლებს მარტივ და უსაფრთხო გზას სთავაზობს კრიპტოვალუტის შესაძენად, გასაყიდად, მისაღებად და გასაგზავნად.

Coinet is an innovative cryptocurrency trading and operations platform that offers users an easy and secure way to buy, sell, receive, and send cryptocurrency.

International FinLaw Support
(https://ffcb.io/) - ორგანიზაცია ინთერნეიშენალ ფინლოუ საფორთ დაარსდა 2022 წელს და წარმოადგენს ვირტუალური აქტივების პლატფორმას, რომელიც მომხმარებელს სხვადასხვა ვირტუალური აქტივებით ვაჭრობის შესაძლებლობას აძლევს.

International Finlaw Sipport, founded in 2022, is a virtual asset platform that allows users to trade various virtual assets.

Bitanica (https://bitanica.com/) - Bitanica არის ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული უნიკალური P2P სავაჭრო კომპანია, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს კრიპტო ვალუტასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სერვისს.

Bitanica is a unique P2P trading company, licensed by the National Bank, offering customers various services related to cryptocurrency.

Easypay (https://easypay.ge/) იზიფეი არის ინოვაციური გადახდის პლატფორმა, რომელიც 2020 წლიდან წარმატებით ოპერირებს ქართულ ბაზარზე. მათი მიზანია, მომხმარებლებსა და ბიზნეს მარტივი, სწრაფი და უსაფრთხო გადახდების სისტემა შესთავაზოს. იზიფეის უკვე ენდობა 170 000-ზე მეტი უნიკალური მომხმარებელი და 60-ზე მეტი პარტნიორი კომპანია.

Easypay (https://easypay.ge/) - Easypay is an innovative payment platform that has been successfully operating in the Georgian market since 2020. Its goal is to offer consumers and businesses a simple, fast, and secure payment system. Easypay is already trusted by more than 170,000 unique users and over 60 partner companies.

Fastpay (https://www.fastpay.ge/) Fastpay არის საგადახდო მომსახურების პროვაიდერი, რომლის მიზანს ფულის ელექტრონულად მართვის თანამედროვე ტენდეციების დანერგვა და მომხმარებლისთვის ფინანსური ოპერაციების გამარტივება

Fastpay is a payment service provider whose goal is to introduce modern trends in electronic money management and simplify financial operations for users.

ახალი პარტნიორები
NEW PARTNERS

საქართველოს ფინტექ ასოციაცია 2024 წლის განმავლობაში დარგის განვითარების ჭრილში აქტიურად მუშაობდა ასევე სეგმენტურ ორგანიზაციებთან, რომლის ფარგლებში გაგრძელდა თანამშრომლობა სხვადასხვა კომპანიებთან, გაფორმდა ახალი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები მნიშვნელოვან პარტნიორებთან, მათ შორის: ელევანდი, სკილქრაფტ აკადემია, Future Laboratory, Finoverse, უზბეკეთის ფინტექ ასოციაცია და ა.შ.

During 2024, the Fintech Association of Georgia actively worked with segment organizations on the development of the field, within the framework of which cooperation with various companies continued, and new cooperation memoranda were signed with important partners, including Elevand, Skillcraft Academy, Future Laboratory, Finoverse, Fintech Association of Uzbekistan, etc.

Elevandi ელევანდი არის არასამთავრობო და არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც თანამშრომლობს მთავრობის, ბიზნესის, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამოქალაქო საზოგადოების ლიდერებთან, იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს საერთაშორისო თანამშრომლობას მათ წევრებთან ტექნოლოგიური ინოვაციებისა და ფინანსური სერვისების დანერგვა - გამოყენებაში. 2024 წლის მარტში ელევანდის ორგანიზებით ჩატარდა ფინტექ ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა. FIA-მ 2024 წელს ელევანდთან თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა.

Elevandi is a non-governmental, non-profit organization that partners with leaders in government, business, educational institutions, and civil society to promote international cooperation with its members in the implementation of technological innovation and financial services. In March 2024, Elevand organized a fintech festival, which was attended by international organizations. In 2024, the FIA signed a memorandum of cooperation with Elevand.

Skillcraft academy (https://www.skillcraft.ge/ka) - სკილქრაფტ აკადემია არის საგანმანათლებლო პლატფორმა, რომელიც თითოეულ დაინტერესებულ პირს პრაქტიკული ცოდნის მიღებასა და თანამედროვე ბაზრისთვის საჭირო უნარების ათვისებას სთავაზობს. საქართველოს ფინტექ ასოციაციასა და სკილქრაფტ აკადემიას შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებში, ორმხრივად სასარგებლო პროექტების განხორციელება იგეგმება.

Skillcraft Academy is an educational platform that offers every interested person the opportunity to gain practical knowledge and master the skills needed for the modern market. A memorandum of cooperation was signed between the Fintech Association of Georgia and Skillcraft Academy, within the framework of which mutually beneficial projects are planned to be implemented.

Future Laboratory
(https://www.futurelab.ge/) - 2024 წლის მაისში საქართველოს ფინტექ ასოციაციასა და Future Laboratory-ს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. Future Laboratory Ventures წარმოადგენს ვენჩურულ ფონდსა და აქსელერატორს, რომელიც სტარტაპებს შესაძლებლობას მისცემს გაიზიარონ UC Berkeley, Stanford-ის, სილიკონის ველის და ესტონელი მენტორების გამოცდილება. ორ მხარეს შორის თანამშრომლობა მიზნად ისახავს განათლებისა და ინოვაციური იდეების ხელშეწყობას, ფინტექ სექტორის გაძლიერებას და სამომავლო განვითარებას.

In May 2024, a memorandum of cooperation was signed between the Fintech Association of Georgia and Future Laboratory. Future Laboratory Ventures is a venture fund and accelerator that provides startups with the opportunity to share the experience of UC Berkeley, Stanford, Silicon Valley, and Estonian mentors. The cooperation between the two parties aims to promote education and innovative ideas, strengthen the fintech sector, and support its future development.

Finoverse (https://www.finoverse.com/)
2024 წლის აგვისტოში საქართველოს ფინტექ ასოციაცია და Finoverse დაპარტნიორდნენ. ფინოვერსი აერთიანებს კომპანიებს აზიისა და მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ფინტექ და Web3 საზოგადოების გასაძლიერებლად. პარტნიორობის ფარგლებში FIA ჩაერთო ჰონგ კონგის ფინტექ კვირეულში.

In August 2024, the Fintech Association of Georgia and Finoverse became partners. Finoverse brings together companies from Asia and around the world to strengthen the fintech and Web3 community. As part of the partnership, FIA participated in Hong Kong Fintech Week.

Fintech Association of Uzbekistan
(https://fintech-association.com/) - უზბეკეთის ფინტექ ასოციაცია 2022 წლის დასაწყისში დაარსდა ფინანსური ტექნოლოგიების სფეროში მომუშავე წამყვანი ექსპერტების ინიციატივით. პლატფორმა აყალიბებს ინოვაციური ტექნოლოგიების საექსპერტო შეფასებას საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, ასევე ავითარებს ფინანსური ტექნოლოგიების კონცეფციებს და მათი განხორციელების მიდგომებს. ასოციაცია ცდილობს იყოს ფინტექ კომპანიების ხმა, გახდეს რესურსი და ფორუმი ტრენინგის, ინფორმაციის გაცვლისა და ქსელისთვის კომპანიებს, მარეგულირებელს, მთავრობას და ფართო საზოგადოებას შორის. პარტნიორობა FIA-სა და უზბეკეთის ფინტექ ასოცაციას შორის მოიცავს ფინტექ კომპანიების მხარდაჭერას, კაპიტალის მოზიდვას და სტარტაპებისა და ინვესტორების დაკავშირებას ინოვაციური პროექტების დაფინანსების მისაღებად.

The Fintech Association of Uzbekistan was founded in early 2022 at the initiative of leading experts working in the field of financial technologies. The platform provides expert assessments of innovative technologies based on international experience and develops concepts of financial technologies and approaches to their implementation. The association seeks to be the voice of fintech companies, providing a resource and forum for training, information exchange, and networking among companies, regulators, government, and the general public. The partnership between FIA and the Fintech Association of Uzbekistan includes supporting fintech companies, raising capital, and connecting startups and investors to obtain funding for innovative projects.

FinTech Poland
(https://fintechpoland.com/en/home/) - FinTech Poland 2016 წელს შეიქმნა და დამოუკიდებელი და არაკომერციული ანალიტიკური ცენტრია, რომელიც სპეციალიზირებულია ციფრულ ფინანსებში. მათი მისიაა დააჩქარონ ციფრული საფინანსო სექტორის განვითარება და შექმნან ახალი თაობის ფინანსური ცენტრი პოლონეთში.

FinTech Poland was established in 2016 and is an independent, non-profit think tank specializing in digital finance. Its mission is to accelerate the development of the digital financial sector and create a new-generation financial center in Poland.

Fintech District
(https://www.fintechdistrict.com/en/)
Fintech District 2017 წელს დაარსდა და იტალიის წამყვანი ფინტექ ეკოსისტემაა, რომელიც 300-ზე მეტ ფინტექ და ტექფინ კომპანიას, კორპორატიულ პარტნიორებსა და პროფესიონალებს აერთიანებს. ის ეხმარება ინოვაციურ კომპანიებს ბაზარზე შესვლაში კავშირების გაზიარების, ღია თანამშრომლობისა და საგანმანათლებლო რესურსების დახმარებით და ხელს უწყობს ფინანსური ტექნოლოგიების ზრდას იტალიაში.

Fintech District was founded in 2017 and is Italy's leading fintech ecosystem, bringing together more than 300 fintech and techfin companies, corporate partners, and professionals. It helps innovative companies enter the market through network sharing, open collaboration, and educational resources, promoting the growth of fintech in Italy.

ბაზრის ახალი მოთამაშეები
EMERGING MARKET PARTICIPANTS

2024 წელი საკმაოდ დატვირთული იყო ლიცენზირების გაცემის საკითხშიც. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ბოლო 1 წლის განმავლობაში საგადახდო მომსახურების პროვაიდერის 3, ხოლო ვირტუალური აქტივების სერვისის პროვაიდერის 19 ლიცენზია გასცა. მათ შორის იყვნენ ქიფზ.მი, თიფეი, მულტიფეი, დიჯიტალ ლეჯერ ტექნოლოჯის, ბიტანიკა, ბიტექსჩეინჯი, კრიპტომატი, კრიპტოტექ სოლუშენ, ვაითბით ჯორჯია, დიჯიტალ მარკეტს სოლუშენს, შერ888, მავერიკ სოლუშენ, ინთერნეიშენალ ფინლოუ საფორთ, ბეთქეივ, კოინმანია, დიჯითალ პლათფორმ, დიჯითალ ქიურენსი, კრიპტო იქსჩეინჯ, პლატფორმა ჰოლდინგ ჯორჯია, სმარტფინსერვისი, ბაიბიტ ჯორჯია ლიმიტედ და სმარტ კრიპტო. მოხარულები ვართ აღვნიშნოთ, რომ მათ შორის 7 კომპანია უკვე შემოუერთდა საქართველოს ფინტექ ასოციაციის წევრთა რიგებს. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა წლის მუწურულს ორ კომპანიას მისცა უფლება ჩართულიყვნენ ღია ბანკინგში, მათ შორისაა მანი მუვერსი და ასოციაციის წევრი კომპანია ქიფზ.მი.

The year 2024 was quite busy in terms of licensing. The National Bank of Georgia has issued 3 licenses for payment service providers and 19 licenses for virtual asset service providers in the past year. Among them were Keepz.me, Tpay, Multipay, Digital Ledger Technologies, Bitanica, BitXchange, Cryptomat, Cryptotech Solution, Whitebit Georgia, Digital Markets Solutions, Sher888, Maverick Solution, International FinLaw Support, BatCave, Coinmania, Digital Platform, Digital Currency, CryptoExchange, Platforma Holding Georgia, Smartfinservice, Bybit Georgia Limited, and Smart Crypto. We are glad to note that 7 of these companies have already joined the ranks of the Fintech Association of Georgia. It should also be noted that at the end of the year, the National Bank of Georgia granted two companies the right to engage in open banking, including Money Movers and the association's member company Keepz.me.

სამომავლო გეგმები
FUTURE PLANS

მომავალ წელსაც ასოციაციის პრიორიტეტად დარჩება ახალი წევრების მიღება და ამით დარგის საერთო ინტერესების ლობირება და დაცვა. ამას გარდა, ასოციაციის მნიშვნელოვან მიზნად რჩება ახალ პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის დამყარება და ახალი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება.

საქართველოს ფინტექ ასოციაცია მომავალ წელსაც გეგმავს მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო ფინტექ კონფერენციებში, ისეთ ქვეყნებში, რომელიც ასოციაციის წვერი კომპანიებისთვის იქნება საინტერესო, რაა დავამყაროთ შესაბამისი კონტაქები, მათი შემდგომი რეალიზაციის მიზნით.

მომავალი წლის პრიორიტეტებში ასევე იქნება, საგანმანათლებლო პროექტების ინიცირება, გასულ წელს დავნერგეთ AML ტრენინგი, რომელსაც ძალიან საინტერესო გამოხმაურება მოჰყვა, შესაბამისად ვგეგმავთ აღნიშნული პრაქტიკის გაგრძელებას და განვითარებას.

2025 წლის გამოწვევებში რჩება, ფინანსური განათლება და ფინტექის ცნობადობის ამაღლება. ამ კუთხით საქართველოს ფინტექ ასოციაცია გეგმავს განახორციელოს საგრანტო პროგრამა, საჯარო ლექციები ქართული უნივერსიტეტებისთვის, ადგილობრივი თუ საერთაშორისო ფინტექ კონფერენციები, რითიც გვწამს, რომ შემძლებთ კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგათ სექტორის ცნობადობის ამაღლების მიზნით.

In the coming year, the priority of the association will remain to receive new members and thus lobby and protect the common interests of the industry. Additionally, establishing cooperation with new partner organizations and signing new mutual cooperation memorandums remains an important goal of the association.

The Fintech Association of Georgia plans to participate in international fintech conferences next year in countries that will be interesting for the top companies of the association, in order to establish relevant contacts for their further realization.
Next year's priorities will also include the initiation of educational projects. Last year, we introduced AML training, which received a very positive response; therefore, we plan to continue and develop the mentioned practice.

Among the challenges of 2025, financial education and increasing awareness of fintech remain key priorities. In this regard, the Fintech Association of Georgia plans to implement a grant program, public lectures for Georgian universities, and local and international fintech conferences. Thus, we believe that we will be able to take another step toward raising awareness of the sector.

კონტაქტი **Contact**

+995 591 11 41 41 info@fintechs.ge www.fintechs.ge

FIA

2024